KA030184040469718

№ 01-3164/ს **27 / სექტემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზაზა ბოხუას

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის
მარიანა მკურნალის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ გაეროს მოსახლეობის ფონდისა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ორგანიზებით მიმდინარე წლის 1-2 ოქტომბერს შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში ტარდება რეგიონული კონფერენცია: “არჩევანის გაკეთება: მოსახლეობის დინამიკა და მდგრადი განვითარება”.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელად განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის ქალბატონი მაია ლაგვილავას კანდიდატურა. ამას გარდა, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მოწვევით კონფერენციაში ასევე მონაწილეობს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ქალბატონი ქეთევან გოგინაშვილი.

მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება გაეროს მოსახლეობის ფონდისა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი მაია ლაგვილავასა და ქალბატონი ქეთევან გოგინაშვილისათვის მიმდინარე წლის 30 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით და მინისტრის მოადგილისათვის დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარიანა მკურნალი